



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №77/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 30 აპრილის №77 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 28 ივნისს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 2 აგვისტოს სარჩელით მიმართა სასამართლოს, პირველი სხდომა სარჩელის შეტანიდან 9 თვის შემდეგ დაინიშნა, ხოლო 15 თვის შემდეგ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამასთან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღეს პროცესი დააბრუნა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, სადაც მოსარჩელის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომების ხანგრძლივობა იყო არალოგიკურად მოკლე 20-45 წუთი, რომლის განმავლობაშიც შეუძლებელი იყო საკითხის ჩამოყალიბება და არგუმენტირება, ხოლო ბოლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელს საერთოდ არ მიეცა საბოლოო სიტყვის თქმის საშუალება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2019 წლის აპრილის ბოლომდე (საჩივრის შემოტანის დროისთვის) არაერთი კანონიერი მცდელობის მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილება არ ჩაბარებია, რის გამოც დღემდე ფერხდება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული საქმის განხილვა.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2016 წლის 2 აგვისტოს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2016 წლის 3 აგვისტოს განჩინებით --- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით --- -- დირექტორს --- -- აკრძალა

მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის/ქონების, კერძოდ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების -- კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2016 წლის 15 აგვისტოს მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 24 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 16 მაისს. სასამართლო სხდომები გაიმართა 16.05.2017; 10.06.2017; 01.07.2017; 19.07.2017; 15.08.2017; 24.08.2017; 13.10.2017; 30.10.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 12 დეკემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა. მხარეებს გადაწყვეტილება გაეგზავნათ 2019 წლის 30 მაისს.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1,674 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 888 საქმე (53%), ხოლო 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 989 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 733 საქმე (73%).

### 3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ივნისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“. (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია)

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო). მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Pois v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

- 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39);

რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);

- 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
- 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს წარდგინა 2016 წლის 2 აგვისტოს. მოპასუხემ შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 15 აგვისტოს. კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება კონკრეტული თარიღიდან. მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა 2017 წლის 30 ოქტომბერს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 1 წელი და 2 თვე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარღვეულია არა მარტო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2

თვიანი ვადა, არამედ ის 5 თვიანი ვადაც, რომელიც გათვალისწინებულია რთული კატეგორიის საქმეებისთვის. ამასთან, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მოსამართლემ მისთვის საქმის გადაცემიდან მხოლოდ 9 თვის შემდეგ ჩაატარა პირველი სასამართლო სხდომა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად არსებული სტატისტიკისა და მოსამართლის დატვირთულობისა, ზემოაღნიშნული საქმის განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად, რაც თავის მხრივ, შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ მოცემულ საქმესთან მიმართებაში საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ნიშნებს.

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“

მოსამართლემ გადაწყვეტილება გამოაცხადა 2017 წლის 30 ოქტომბერს, საქმის მასალებით დგინდება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ დაახლოებით 1 წლის და 11 თვის შემდეგ. შესაბამისად, სახეზეა კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა.

გ) საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღეს მოსამართლემ პროცესი დააბრუნა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, სადაც მოსარჩელის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობდა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის საფუძველზე საქმე დაბრუნდა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე. ამასთან, 2017 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე მოსამართლემ განმარტა (14:44:59 წთ), რომ მას მოსმენილი ქონდა მხარეთა მოსაზრებები და აღნიშნულ სხდომაზე მან მიიღო იმ კითხვებზე პასუხები რის გამოც საქმე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე დააბრუნა და შეაფასებდა მიღებულ ინფორმაციას. ასევე, საქმეს დაერთო მოსარჩელე მხარის მიერ წერილობით წარდგენილი საპაექრო სიტყვა.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე ჩატარდა რვა სასამართლო სხდომა, რაც ბუნებრივია, გონივრულ ვადას წარმოადგენს მხარისთვის საკითხების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებისთვის.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი“ (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხსენებული ნორმა წარმოადგენს მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ორგანული კანონის აღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივარი ხანდაზმულია.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 30 ოქტომბერს. რადგანაც გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №77/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი